

1. ვხედავთ მოქმედი ვაკანსიების ჩამონათვალს, რომლებიდანაც ვირჩევთ სასურველს.

ვაკანსიები

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ
დაწესებულებათა გაერთიანების“ მმართველის
მოადგილე
Kutaisi City Hall

2. ვაკანსიაზე დაწკაპუნების შემდეგ ვხედავთ ვაკანსიის პირობებს
3. ფანჯრის მარჯვენა მხარეს ვხედავთ „რეზიუმეს გადმოწერა“, მასზე დაწკაპუნებით ვიწერთ რეზიუმეს ფორმას (CV-ის ფორმა).

რეზიუმეს შესავსები ფორმა

რეზიუმეს გადმოსაწერად დააჭირეთ ქვემოთ

მოცემულ ბმულზე:

რეზიუმეს გადმოწერა

-
4. რეზიუმეები, რომლების შევსებული იქნება CV-ის სხვა ფორმაში, არ განიხილება.
 5. რეზიუმე (CV) შეავსეთ Sylfaen შრიფტით.
 6. რეზიუმეს (CV-ის) ბოლოს, ამავე ფაილში, დაამატეთ დასკანერებული დოკუმენტაცია (პირადობა, დიპლომი, შრომის წიგნაკი ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს თქვენს სამუშაო გამოცდილებას, სერთიფიკატები, რეკომენდაციები) სურათების სახით (დაასკანერეთ JPEG ფორმატში).
 7. სურვილისამებრ, რეზიუმე (CV) შეგიძლიათ დატოვოთ და შეინახოთ როგორც Word-ის დოკუმენტი, ან გადაიყვანოთ PDF ფორმატში.
 8. რეზიუმეს (CV-ის) დასრულების შემდეგ სასურველ ვაკანსიაზე ავსებთ რეგისტრაციის ფორმას

ონლაინ რეგისტრაცია

სახელი*

გვარი*

მამის სახელი*

დაბადების თარიღი*

სქესი*

პირადი ნომერი*

მისამართი*

სახლის ტელეფონი*

- აუცილებელია ყველა ველის შევსება, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის გაგზავნა სასურველ ვაკანსიაზე.
- რეგისტრაციის ბოლოს ვახდენთ რეზიუმეს (CV-ის) ფორმის ატვირთვას, „რეზიუმეს მიმაგრების“ ქვემოთ ვაწკაპუნებთ ღილაკზე და ვირჩევთ შევსებული რეზიუმეს ფაილს. ბოლოს ვაწკაპუნებთ „გაგზავნა“.

რეზიუმეს მიმაგრება

Choose File No file chosen

გაგზავნა

- ფაილის ატვირთვის შემდეგ გამოჩნდება თქვენს მიერ მიმაგრებული ფაილის სახელი, რაც დასტური იქნება იმისა, რომ პროცესი წარმატებით დამთავრდა.

რეზიუმეს მიმაგრება

Choose File (თქვენს მიერ მიმაგრებული ფაილის სახელი)

- გაგზავნამდე ყურადღებით შეამოწმეთ თქვენს მიერ გამოსაგზავნი ინფორმაციის სისწორე, რადგან ვაკანსიაზე განაცხადის გაკეთების შემდგომ არ გექნებათ რედაქტირების და თქვენს მიერ გამოგზავნილი რეზიუმეს (CV) ნახვის საშუალება. არასწორად მოწოდებული ინფორმაციის შემთხვევაში განაცხადი არ განიხილება.

13. იმისათვის რათა შეამოწმოთ ვაკანსიებზე თქვენს მიერ გაკეთებული განაცხადები პირადობის ნომერს ვწერთ ფანჯრის მარჯვენა მხარეს მდებარე გრაფაში „პირადობის შემოწმება“.

პირადობის შემოწმება

პირადი ნომერი:

შეძენა

14. გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია მხოლოდ ერთი ფაილის მიმაგრება Word-ის დოკუმენტის ან PDF ფორმატის სახით.
15. განაცხადის წარმატებით შევსების შემთხვევაში, თქვენს მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, მიიღებთ შეტყობინებას administrator@kutaishi.gov.ge-დან, რაც დასტური იქნება იმისა რომ თქვენი განაცხადი ვაკანსიაზე მიღებულია.